საქართველო

42161-01-2-201611221626

საგარეო საქმეთა სამინისტრო

№ 01/42161
22/11/2016

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსს
ქალბატონ **მაია ცქიტიშვილს**

ქალბატონო მაია,

სამინისტროს, მიმდინარე წლის 8 აგვისტოს N 01/29026 და 14 ნოემბრის N 01/41141 წერილებზე დამატებით გაცნობებთ, რომ გაერო-სთან პოლონეთის მუდმივ წარმომადგენელთან ბოგუსლავ ვინიდთან, რომელიც, ამავდროულად, ჯილდოსათვის კომიტეტის *(Committee for the United Nations Population Award)* წევრიცაა, შედგა საუბარი 2017 წლისათვის გაეროს მოსახლეობის ჯილდოს *(United Nations Population Award)* თემაზე. გამომდინარე იქიდან, რომ გასულ წელს ინსტიტუტის კატეგორიაში გაეროს მოსახლეობის ჯილდო გადაეცა ორგანიზაციას აღმოსავლეთ ევროპის რეგიონიდან *(პოლონურ ორგანიზაციას „Childbirth in Dignity Foundation“)*, ბოსულავ ვინიდმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს იმავე კატეგორიაში იმავე რეგიონიდან ორგანიზაციის ლაურეატად შერჩევა შეიძლება გართულდეს.

ხსენებულიდან გამომდინარე, მან ქართულ მხარეს ურჩია, განხილულ იქნას ინდივიდუალურ კატეგორიაში საქართველოდან ქალი კანდიდატურის წარდგენის შესაძლებლობა, რომლის საქმიანობის სფეროც ქალთა უფლებებს ან ბავშვებს შეეხება.

პოლონეთის მუდმივმა წარმომადგენელმა დაადასტურა მზადყოფნა, მხარი დაუჭიროს საქართველოს კანდინატურას და ამ მიმართულებით გასწიოს ასევე ლობირება კომიტეტის სხვა წევრებთან.

პატივისცემით,
დავით ზალკალიანი

მინისტრის პირველი მოადგილე

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge